ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 162
აგვისტოს 1, ხუთშაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 162
აგვისტოს 1, ხუთშაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“

ღირს **ხუთი მანეთი** და **ათი შაური** (5 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა

(იხილე მე-4 გვერდზე) (25—379—11)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხგალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**. 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა დ ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს**, ტფილისს. (24—361—13)

ქალების

პროგიმნაზია

ელენე ბახტაძისა

დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ, პირველ, მეორე, მესამე და აგრეთვე წელს გახსნილ **მეოთხე** პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდამ და გაგრძელდება მთელის წლის განმავლობაში.

თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის **ელენე ბახტაძის** სახელობაზე.

სწავლის საფასური, როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში, 30 მანეთია წელიწადში. (3—391—3)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ყოვლად-სამღვდელო დიმიტრის, ალავერდის ეპისკოპოსის, განკარგულებისამებრ

საეკლესიო მუზეუმი ქართველ სამღვდელოებისა

ღია

სამშაბათ-ხუთშაბათობით 9—11 ს.

და კვირაობით 10—1 ს.

ვისაც სურს მუზეუმის დათვალიერება სხვა დღეს, კეთილ ინებონ მიჰმართონ მისს გამგეს მ. გ. ჯანაშვილს (კუკია, მინკვიცევის ქ., № 27). (10—388—9)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დედა საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებისი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

ქართველ ქალთა

ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა. № 12

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კროვატები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 სათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

ა. გ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ტფილისი

✦ დღეს, 1 აგვისტოს ტფილისის სამხედრო სასამართლოში დანიშნულია გარჩევა პორუჩიკის თავ. ი. მ. წერეთლის საქმისა. თ. წერეთელს შეურაცხყოფა მიაყენა მისმა ამხანაგმა აფიცერმა სიტყვით, ხოლო წერეთელმა სამაგიერო გადაუხადა მით, რომ ხელით შეურაცხჰყო იგი. ეს უსიამოვნო ამბავი მოჰხდა დ. სურამში ამ ორის კვირის წინად.

✦ 10 აგვისტოს ტფილისში მოელიან მიწად-მოქმედების უმთავრეს დეპარტამენტის უფროს თავ. ვ. ი. მასსალსკის, რომელსაც დავალებული აქვს კავკასიაში ჩაის მოყვანის საქმე შეისწავლოს-

✦ ვაშინგტონიდგან ჩამოვიდა შეერთებულ შტატების აგრონომი ბ-ნ ბესსეი, რომელსაც დავალებული აქვს თავის მთავრობისგან შეისწავლოს იმ გამოსადეგ მცენარეულობის მოყვანა-მოვლა, რომელიც აიტანს განსაკუთრებით ტოხაოს შტატის ცხელს ჰავას და ფიცხს ადგილს და აგრეთვე შეჰკრიბოს ცნობა ყველა იმ მცენარეთა შესახებ, რომელიც შეიშვნევს ამ შტატის ნიადაგს. ბ-მა ბესსეიმ დაათვალიერა ტფილისის ბოტანიკური ბაღი, სადაც იყიდა მრავალი ხეხილი სანერგედ და აგრედვე თესლეულობა; ბესსეი გაემგზავრა თურქესტანს, სადაც უნდა შეისწავლოს სხვა-და-სხვა მცენარეულობის კულტურა. განზრახვა აქვს აგრედვე იყიდოს ჩარჯუის ჯიშის საზამთრო ნესვები და 300—500 ფუთამდე იონჯის თესლი.

✦ ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ „ივერიის“ გუშინდელს ნომერში, რომ ქალაქის გამგეობამ განიზრახა გოგოლის სახელობაზედ ალექსანდრეს ბაღში ძეგლი აავოს; 29 მკათათვეს ქალ. გამგეობამ თავის კრებაზედ გარდასწყვიტა: მოიწვიოს მხატვარი—მექანდაკე ბ-ნი ხოდოროვიჩი და სთხოვოს მას ძეგლის გეგმის შედგენა და ხარჯის აღნუსხვა.

✦ ამა წლის ივლისის 30 დღის „ნოვოე ობოზრენიე“ რუსულ გაზეთს ო. მ—ლი რედაქციასა სწერს წიგნს, რიმლითაც აუწყებს, რომ საქართველოს ძველ-ძეგლთა შორის დიდი ყურადღების ღირსია სიონის ტაძარი სოფ. ატენში, როგორც სიმშვენიერით, ისე შენობის სიდიადითო. ეს ძველი სიწმინდე, რომელსაც ოდესღაც დიდი ძალა ჰქონდა მორწმუნეთა შორის, ეხლა სამძიმო შთაბეჭდილებას სტოვებს ყოველ მნახველზედ. გარედან ტაძარი მთლად შენახულა, მაგრამ შიგნით ისეთი ზინტლი და სიმყრალეა, რომ შეუძლებელია ეკკლესიაში შესვლა და დათვალიერება. როგორცა სჩანს ზამთრობით ნახირს ერეკებიან შიგ და ტაძრის კედლებში ღამურები ბუდობენ. უთუოდ ადგილობრივ მღვდლებს, რომელნიც **მოვალე არიან სიწმინდეს პატივი სცენ**, ყურადღება არ მიუქცევიათ ტაძრისათვისო…“

აი რა ყოფაშია დღეს საქართველოს საისტორიო-საქრისტიანო დიდების ნაშთები და, სულიერ მამებს რომ ჰკითხოთ მიზეზი, ერის ურწმუნოებას იტყვიან და ყოველ ბრალს მას მოახვევენ თავსა. ჩვენ-კი გვგონია, რომ ჩვენის ერის ურწმუნოება აქ არაფერ შუაშია და ის-კი მართალია, რომ მის მღვდლებს სარწმუნოება ნაკლებად უნდა ჰქონდეთ, თორემ ხომ შეგნებული ექმნებოდათ მოვალეობა მისი, რომ ატენის სიონისთანა სიწმინდენი უპირველეს ყოვლისა მათგან მოითხოვენ პატივისცემას. დავიჯეროთ, ატენის სიონის რაიონში კეთილმოწესე დეკანოზი არ იპოვება, და თუ არის, ნუ თუ არ შეეძლო ადგილობრივ ხელქვეით მღვდლებისათვის მიეწერა დაცვა და მოვლა გაციებულის ტაძრებისა? დიაღ, დღევანდელი ქართველი მღვდელი აღარ არის ძველებრ სულიერი მამა და მწყემსი ერის სარწმუნოებისა და ტაძრებისა და ყოველივე ზრუნვა დაუდვია მხოლოდ ამაოებისა და საწუთრო ცხოვრებისათვის.

ნეტა როდის ვეღირსებით საქართველოსა და ქართველთადმი გულშემატკივარ ჭეშმარიტად მორწმუნე მოძღვრებსა და მწყემსთ, რომ ერის ზნეობრივ და მოქალაქობრივ აღორძინებისათვისაც ზრუნავდნენ.

✦ საერო სახლის საძირკველს, როგორც ამბობენ, აგვისტოს მიწურულში ჩაჰყრიან. საერო სახლი შენდება საზაფხულო „კრუჟოკის“ ახლოს განსვენებულ ზუბალაშვილის მემკვიდრეთაგან შეწირულ 100,000 მანეთით.

✦ სომხური გაზეთი „ნორ-დარი“, რომელიც კარგა ხანს იყო შეჩერებული, 1 აგვისტოდან კვლავ დაიწყებს გამოსვლას.

✦ კავკასიის შტაბის მიერ დამზადებულ კავკასიის ისტორიის დაბეჭდვა აალა უფრო სისწრაფით წავა წინ, რადგან საჭირო ფული მთავრობამ უკვე გადასდოო. ისტორია ფრიად ვრცელი იქნება და რამდენსამე ტომად დაიბეჭდება.

✦ ტფილისის რკინის გზის სკოლაში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 24, 25, 27 და 28 აგვისტოსათვის. მესამე კლასს გარდა, ყველა სხვა კლასებში თავისუფალი ადგილები საკმაოა. მესამეში-კი სულ არ არის.

✦ ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 26 აგვისტოს დილის 8 საათზედ. შეგირდები მიიღებიან უმცროს და უფროს განყოფილებაში, I, II და III კლასებში.

✦ ქალაქის გამგეობის წევრთა უკანასკნელ კრებას გამგეობის წევრმა კოკჩაევმა მოახსენა გამგეობას: რადგანაც ზამთარი მოახლოვდა და ქალაქის სხვა-და-სხვა დაწესებულებისათვის საჭირო იქნება შეშა, ამიტომ კარგს იქმს გამგეობა, ეხლავე მოსძებნოს მსურველი, რომელმაც შეშა მოუმზადოს ქალაქსა, ან იჯარით გაიცეს ეს საქმეო. გამგეობამ დაადგინა: გაიცეს შეშის მოტანა იჯარით, რისთვისაც საჯარო ვაჭრობა მსურველთათვის 12 აგვისტოსათვის დაინიშნოს; საჯარო ვაჭრობის დროს-კი გამგეობამ იხელმძღვანელოს 30 დეკ. 1901 წლის შემუშავებულ და გამგეობის მიერ დამტკიცებულ წესებითაო.

✦ უკანასკნელ ქალაქის გამგეობის წევრთა კრებას, გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა მოახსენა გამგეობას, რომ ლ. გ. მელიქიშვილის მემკვიდრეებმა შემოსწირეს ქალაქის ქალთა საავადმყოფოს სხვა-და-სხვა საექიმო აპპარატიო. მოისმინა რა გამგეობამ ქალაქის უფროსი ექიმის სტეფანოვის აზრი ამ საგანზედ, დაადგინა: გამოეცხადოთ შემომწირველთ მადლობაო.

✦ ქალაქის მოურავის შესტაკოვმა უკანასკნელს კრებაზედ მოახსენა გამგეობას, რომ სულხანოვის სახლი, რომელიც ქალაქს უნდოდა დაექირავებინა დედათა საპროფესსიონალო სასწავლებლისათვის, პატრონს უკვე გაუქირავებიაო. იმ სახლის პატრონი, სადაც ეხლაა მოთავსებული სკოლა, თანახმაა ერთი წელიწადი კიდევ დაგვაცალოს, თუ ქალაქი იკისრებს ამ სახლის შეკეთების ხარჯსაო; გამგეობამ გარდასწყვიტა: დაევალოს იმ ნაწილის ქალაქის ტეხნიკოსს, გამოიანგარიშოს, რა დაუჯდება ქალაქს სახლის შეკეთება და მაშინ გარდასწყვიტოს გამგეობამ: დარჩეს იმ სახლში კიდევ ერთის წლით სკოლა, თუ მოიძებნოს ახალი სადგურიო.

✦ უმაღლესმა მთავრობამ, კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, ყოველ წლიური სუბსიდია დაუნიშნა ამ საზოგადოებას. წელიწადში მიეცემა 12 ათასი მანეთი. ეს ფული მოხმარდება საზოგადოების სკოლებსა და მასწავლებელთა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესებას („ცნ. ფურ.“.

✦ 30 ამ თვის კრებაზედ ქალაქის გამგეობამ განიხილა უკვე შედგენილი შემოსავალ-ხარჯთ-აღრიცხვა 1903 წლისა; რამდენისამე მუხლის განხილვა გარდაიდო შემდეგის კრებისათვის.

✦ ქალაქის ექიმმა ხარაზიანცმა წარუდგინა გამგეობას შემდეგი წინადადება: რადგანაც დაბახანაში გამოყვანილი არხი ქალაქისა სახლიდგან ისე მაღლა არის მტკვრის პირზედ, რომ უწმინდურება ვერ მიაქვს წყალს, გუბდება და საშინლად აფუჭებს ჰაერსაო; აგრედვე ქალაქის არხი, რომელშიაც წოვიანოვების აბანოებიდგან საპნიანი წყალი ჩადის, შიგვე ცვივა ნაგავი და გუბდება წყალიო, ამიტომ კარგს ინებებს გამგეობა მოახდინოს განკარგულება, ან დაიწიოს ძირს ეს ზემოხსენებული არხი მტკვრის პირამდე, და ან არხს დაეხუროს რკინის სახურავიო.

✦ როგორც «ივერიის» გუშინდელს ნომერში იყო მოხსენებული, 4 აგვისტოს დანიშნულია ქალაქის დურგალთა ამხანაგობის წევრთა კრება. კრების საგანია: 1) ამხანაგობის მოქმედების ნახევარ წლის ანგარიშის განხილვა 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა, 3) მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და 4) ახალ წევრთა არჩევა. როგორც ამხანაგობის სარევიზიო წიგნებიდგან სჩანს, პირველს მკათათვეს კასსაში არაფერი ყოფილა. სამეურნეო ბანკში ამხანაგობას ჰქონია 15 მან. იარაღი და ავეჯი ამხანაგობისა 475 მ. 50 კ.; ამხანაგობის მაღაზიაში დამზადებული ავეჯეულობა ყოფილა 1826 მ. 71 კ.; შემზადებული სახმარი მასალა 72 მ. 10 კ., გარდამავალი ხარჯი 15 მან., სხვა-და-სხვას ჰმართებია 200 მ. 70 კ., ამხანაგობას პირველ იანვრიდგან 1902 წლის 1 მკათათვემდე მოგება დარჩენია 337 მ. 52 კ., წილის ფული ამხანაგობას ჰქონია 1266 მან.; ვალი ამხანაგობისა უდრის 1001 მ. 49 კ.

✦ 22 ამ თვიდგან 29-დე ტფილისში ავათ გამხდარა ხუნაგით 7; ამათში 5 მე-7 განყოფილებაში; 1 მე-8, 1 მე-10; ქალაქის ქალების საავადმყოფოში 22—29 ივლისამდე შესულა 10, განკურნებულა 4, 29-ს დარჩა 20 თავისუფალი ადგილი; ქალაქის სულით-ავადმყოფთა განყოფილებაში ყოფილა 50 ავადმყოფი.

✦ ამ დღეებში დუშეთს შეიპყრეს ჯარის-კაცად მყოფი პოტრეუსსკი, რომელსაც პოვოსკა და ცხენი მიჰყავდა ვლადიკავკაზისაკენ; აღმოჩნდა, რომ პოტრეუსსკი ავჭალაში მსახურობდა ბ-ნ სტოროხოდოვთან და ერთს მშვენიერს დღეს დაკრა ფეხი და გაქცეულიყო სახლიდგან. პოვოსკა და ცხენი პოლიციამ უკვე ჩააბარა პატრონს, რომელიც გამწარებული დაეძებდა დაკარგულს საქონელს.

✦ მე-9 უბნის ბოქაული სთხოვს გამგეობას, გააწმენდინოს მუშებს ქალაქის ადგილები მე-3

თუმანოვის ქუჩის ზევით და აგრეთვე ნორიოს აღმართი, რომელიც სიბინძურით არის სავსეო.

◆ ტფილისის მე-7 საბოქაულოს უფროსი სთხოვს ქალაქის გამგეობას გაგზავნოს მუშები ციციშვილის აღმართის დასასუფთავებლად.

◆ ქალაქის გამგეობამ მისწერა მე-7 განყოფილების ბოქაულს შეაყენე დარჩო გევანდოვის შენობა კოტლიარევის ქუჩაზედ იმ დრომდე, ვიდრე ქალაქის ტეხნიკოსი არ დაათვალიერებს შენობის ადგილსაო.

◆ 27 ამ თვეს მე-6 უბანში მეეზოეებმა ნავრუზ-ოღლიმ და იმამ-ვალი-ოღლიმ შეიპყრეს ტფილისის მცხოვრები ლავრენტი ომიაძე და სიღნაღის მაზრის მცხოვრები შაქრო მარელაშვილი, რომლებსაც ტფილისის რკინის გზის სადგურზედ გიტარა და წინწილი მოეპარათ; დამნაშავენი მე-10 საბოქაულოში გაჰგზავნეს.

◆ 28 ამ თვეს მიხაილოვის ქუჩაზედ სლივიცკის სახლში, მკურნალ გოკიელოვის სადგურიდგან ალექსანდრე ზატეპლინსკის მოჰპარეს 179 მან. ქურდი, ლაქია ივანე ჩახრილიანი, უკვე შეიპყრეს. ქურდობაში გამოტყდა და ნაპარევიც აღმოაჩნდა.

◆ 29 ამ თვეს მთაწმინდაში გასტეხეს ბილიბინის სახლი და მოიპარეს ქალის ოქროს საათი, 2 კვიტანცია 25 მანათისა ქალის პორტმონე, რომელშიაც იდო 3 მანეთი, კაცის პორტმონე რომელშიაც 5 მ. 50 კ. იყო. სულ მოპარულია ფულად და ნივთიერად 66 მანათამდე. ბრალსა სდებენ თავიანთ მზარეულს შაქრო შიოშვილს.

◆ 29 ამ თვეს, კათოლიკეთა ქუჩაზედ მცხოვრები ვაჭარი იაგორა ტერ-სიმონოვი დილის რვა საათზედ უეცრად გარდაიცვალა თავის სახლში.

◆ 29 ამ თვეს გაქანებულმა ეტლმა № 12 პუშკინის ქუჩაზედ გადუარა ოსანა ტემოვიანის ქვრივს, რომელიც, სახლში მისვლისათანავე, ორი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

ჩვენებური ამბები

იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მობრძანება სოფ. შუქრუთში და სკოლის დაარსება. შუქრუთი უძევს დაბა ჭიათურას აღმოსავლეთით ორი ვერსის მანძილზედ. სოფელი შეფენილია მაღლობზედ, ცნობილია შავი-ქვის მადნით, კარგის ჰავით და შრომის მოყვარე ხალხით. ამ საკმაოდ შეძლებულს სოფელს დღემდის სკოლა არა ჰქონდა.

26 ივლისს დილის ათ საათზედ მობძანდა იმერეთის ეპისკოპოსი, ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი. თუმცა სამუშაო დღე იყო, მაგრამ ეკკლესია მთლათ გაივსო ხალხით, დიდი და პატარა, ქალი და კაცი მონატრული იყვნენ ენახათ თავისი სახელოვანი მწყემსმთავარი, მოესმინათ მისი სწავლა-მოძღვრება, მიეღოთ ლოცვა-კურთხევა და დამტკბარიყვნენ სულიერად. ყოვლად-უსამღვდელოესობამ დაათვალიერა ეკკლესია და მერე წარმოსთქვა გრძნობით სავსე ქადაგება და იმითი დაასრულა, რომ საზოგადოებას აუხსნა სწავლის მნიშვნელობა და თან ურჩია და დახვალა სკოლა დაარსეთო. ოღონდ სკოლის შენობა ააგეთ და მასწავლებლის ჯამაგირისათვის მე გამოგინახავთ სახსარსაო. ხალხმა აღტაცებით მოისმინა მადლიანი სიტყვა-დარიგება და თანხმობა გამოაცხადა. შემდეგ ეკკლესიის გალავანთან სკოლის შენობის ადგილიც უჩვენეს მათ მეუფებას. ადგილი მოიწონა და ჩაჩანიძესა და მღ. ვაშაძეს დაავალა ეზრუნათ სკოლის შენობის აგებისათვის.

27 ივლისს ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი მწირველი იყო სვერს და 27-სავე საღამოს წაბრძანდა ტფილისს. ორი თვეა, რაც ეპ. ლეონიდი მოგზაურობს იმერეთის დაბა-სოფლებში და უხვად სთესავს თესლს განათლებისას. მოსავლელი დარჩა მხოლოდ ორი საბლაღოჩინო და მასაც ნახავს ქალაქიდგან დაბრუნების შემდეგ.

ბ. ვაშაძე.

ქუთაისიდგან სწერენ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს, რომ ბანკის გამგეობამ დეპეშა მიიღო მელნიკოვისაგან, ამ დღეებში მოვახსენებ ფინანსთა მინისტრს ბანკის საქმეთა ვითარებასაო.

იმავე გაზეთს სწერენ იქიდგანვე, რომ პირველი კრება ქუთაისის განახლებულის საბჭოსი დანიშნულია 2 სექტემბრისათვის.

გაზ. „კავკაზს“ სწერენ გურიიდგან, რომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ ნება დართულია დაარსდეს სოფ. ხვარბეთს განყოფილება რუსეთის საზოგადოებისა, რომელსაც აზრად აქვს წვრილ-ფეხის მოშენება სოფლადაო.

წესი (რაჭის მაზრა). ეს სოფელი სძევს დაბა ონიდგან 20 ვერსის მანძილზე მდ. რიონის მარჯვენა მხარეს. ამ სოფელში სცხოვრობს 181 კომლი გლეხი და აზნაური, თავადი ერთი კომლი—ერისთავი. ეს ერისთავი იმ ერისთვის შთამომავლობა არის, რომლის წინაპარმაც წინააღმდეგობა გაუწია სოლომონ მე-II-ეს, უკანასკნელ მეფეს იმერეთისას. წესში ამ 160 წლის წინად უცხოვრია რაჭის ერისთავს—დიდ როსტომს. როსტომ ერისთავს სოფელ წესის აღმოსავლეთით მაღალს კონცხზე აუშენებია ერთი დიდი ციხე, „მინდა-ციხეთ“ წოდებული. ამ ციხისათვის ჟამთა ვითარების სვლას თავის დაღი დაუსვამს: რამდენიმე ადგილას ჩამონგრეულა და თავ-მონგრეული კედლები-კი დღესაც ამაყად გადმოიყურებიან მაღალ კონცხიდგან. ციხეში არის მრავალი ოთახი, ყოფილა ერთი პატარა ეკკლესიაც. ეკკლესიის ნაშთი დღესაც ნათლათა სჩანს, მხოლოდ შიგ ხატები და ეკკლესიის სამკაული დარჩენილა. ციხეში არის აგრეთვე ორი დიდი ჰა, დღესაც წყლით სავსე. რამდენიმე წლის წინად თ. შ. ერისთავმა „მინდა-ციხის“ ეზო გააწმენდინა და იპოვა 40 ზარბაზნის ყუმბარა. ყუმბარა ბურთივით მრგვალია.—როგორც ეტყობა, უნდა იყვეს თუჯისა, თითო იწონის 12 გირვანქას; უსათუოდ ამ ციხეში ზარბაზნებიც ბევრი იქნებოდა, მაგრამ დღეს ნამდვილად არავინ იცის, სად წაიღეს. შეიძლება ზარბაზნები აღმოჩნდეს სადმე ნანგრევებ ქვეშ, მაგრამ მათ დღეს აღარავინ ეძებს, არც ერისთავი, აღარც სხვა ვინმე. როსტომ ერისთვისგანვე აშენებულია ამ სოფელში ღვთის-მშობლის სახელობაზედ ერთი დიდი ეკკლესია, ბარაკონათ წოდებული. ეს ეკკლესია სულ თლილი ქვით ნაშენია, მშვენიერის ხელოვნებით. ეკკლესიაში მრავალი მხატვრობა არის, შესანიშნავი ხელოვნებით დახატული. ამ ეკკლესიაშივე არის ერთი ხის ჯვარი. ჯვარი გზის ხისა უნდა იყვეს, და ზედ ამოჭრილია ძვირფასი ხელოვნებით იესო-ქრისტეს ყველა ტანჯვა წვალება, აგრეთვე შობა და აღდგომაც. უკვირდები კაცი ამ დიად ხელოვნებას და განცვიფრებაში მოდიხარ, ნუ თუ ქართველი კაცის ხელს ამ ორი საუკუნის წინეთ, რომელსაც ახლანდელი ნასწავლები ბნელ ხანად უწოდებენ, ამისთანა ძვირფასი ხელოვნების შექმნა შეეძლო?! როგორც ამბობენ, ეს შესანიშნავი ჯვარი გაუკეთებია ვიღაც მონოზანს და შემოუწირავს ბარაკვნის ეკკლესიისათვის. ეს დიდად საინტერესო ნაშთი ქართველთა ისტორიისა, ბარაკვნის ეკკლესია, დღეს ლამის არის ხელიდგან გამოეცალოს სოფელს. ყავარი დაძველებულია და ავდრის დროს ყოველი მხრიდგან წყალი ჩამოდის. კედლები ლამის არის ჩამოინგრეს და ზედ დახატული მხატვრობა სულ ერთიანად შეიბლალოს და მოიშალოს. სოფლელებს სულითა და გულითა ჰსურთ ბარაკონის ეკკლესიის შეკეთება და შეხურვა ახალი ყავრით, მაგრამ ამასაც ამბობენ: ჩვენ სხვა ხარჯიც გვეყოფა და ეკკლესია თუ საკუთრად ერისთვის არის, ჩვენ ხარჯი რაღად გავსწიოთო. ერისთავი-კი ყურსაც არ იბერტყავს ხსენებულ ეკკლესის შეკეთებისათვის. მაშ, აბა, უნდა დაინგრეს ამისთანა შესანიშნავი ხელოვნებით ნაკეთები ეკკლესია? კიდევაც დაინგრევა, თუ მალე მშველელი არავინ გამოუჩნდა. იმედია, ჩვენს შენიშვნას ყურადღებას მიაქცევს მათი ყ-დ უსამღვდელოესობა ეპისკოპოზი ლეონიდე და იზრუნებს, რომ ძველი ნაშთი არ დაინგრეს.

ვანო კიკინაძე.

აკეთი (გურია). სოფ. აკეთი განიყოფება ორ ნაწილად (ქვედა-აკეთი და ზედა-აკეთი). მდებარეობა აკეთისა მიუვალ-მიუდგომელია. სახნავ-სათესი მიწა თუმცა ცოტაა აქ, მაგრამ მოსავალი მაინც კარგად მოდის მიწის სინოყივრის გამო. გვაქვს ორ-კლასიანი სასწავლებელი, ორი სამრევლო სკოლა და სამკითხველო.

სამკითხველოს შესახებ კარგს ვერას ვიტყვით. რაც რიგიანი წიგნები იყო, სულ დაიტაცეს და დაისაკუთრეს, ნაცვლად იმისა, რომ სამკითხველოს წარმატებაზე ეზრუნათ და წიგნებით ანუ ფულით შემწეობა აღმოეჩინათ...

ახმეტა (თელავ. მაზრა). ამ ოთხის წლის წინად აქაურმა საზოგადოებამ სოლ. ჯანდიერის და მასწავლებლად ნამყოფის ს. ბედიაშვილის თაოსნობით განიძრახა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება. მალე აზრი სისრულეში მოიყვანა; აიღო მთავრობისაგან ნებართვა, გამოიწერა 25 მანეთის წიგნები, თვით წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უფასოდ დაუთმო სამკითხველოს 16 მანეთის წიგნი. ის იყო, საქმე სასურველ ნიადაგზედ უნდა დამდგარიყო, რომ ამ დროს ვიღაცა არა მკითხე—მოამბემ გამოაცხადა გაზეთ „ივერიაში“ სამკითხველოს დაარსება და დამფუძნებლად დაასახელა ისეთი პირები, რომლებსაც ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. ეს გარემოება არ ესიამოვნა აქაურს, ისედაც „შენ-ჩემიანობის“ მიმდევარს, საზოგადოებას და მალე ზურგიც შეაქცია ამ კეთილ საქმეს. ზედ მასწავლებელ ბედიაშვილის გადაყვანაც დაერთო და ამ გვარად სამკითხველომ დაარსებისათანავე სული განუტევა.

ამ არა სასიამოვნო ამბავთან ერთი სასიამოვნო იმბავი უნდა ვაუწყო მკითხველებს. წელს ჩვენს საზოგადოებას შემოემატა ორი ახალგაზრდა წევრი: ექიმი ლ. ჯავახიშვილი და მღვდელი გ. ინაშვილი. ამათ განიძრახეს საკვირაო სკოლა დააარსონ. ამ აზრის განხორციელება მით უფრო შესაძლოა, რომ ამ პირების გარდა სოფელსა ჰყავს მასწავლებელი და ფერშალი. ღმერთმა ჰქმნას, ეს განძრახვა განხორციელებულიყოს და აზრი აზრად არ დარჩენილიყოს.

წელს აბრეშუმის მოსავალი კარგი იყო. სამწუხაროდ, ფუთი პარკი, აქაურ ჩარჩების წყალობით, 9 მანეთს ზევით არ გაიყიდა.

ს.

მატანი (თელ. მაზრა). ეს ერთი თვეა, რაც ამ სოფელში სისხა მძვინვარებს; მუსრს ავლებს ნამეტნავად ბავშვებს.

აბასთუმანი. 29 მკათათვეს დაასაფლავეს ექ. რემერტი. ცხედარს აუარებელი ხალხი მისდევდა. კუბო მრავალი გვირგვინებით იყო შემკული. კათოლიკების ეკკლესიის ზემო გორაზე დაასაფლავეს.

განსვენებული 24 ამ თვეს მძიმე ავადმყოფი მოიყვანეს; ამბობენ, ენაზე კუ ჰქონდაო, და 26-სს ივლისს გარდაიცვალა. განსვენებულს დიდი ამაგი ჰქონდა აბასთუმანზედ.

არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა არ მოგახსენოთ აქაურ უწესოებაზედ და უყურადღებობაზედ. მძიმე ავადმყოფები მოდიან და, ჰაერის გარდა, ნოყიერი და საღი საჭმელ-სასმელი ეჭირვებათ. მომეტებული ნაწილი ან ჰალების რესტორანებში სადილობენ და ან სასტუმროებში. მაგრამ, შენს მტერს, იმისთანა სადილს მოგიტანენ, რომ მორჩენის მაგივრად კუჭის ავადმყოფობას შეიძენ. საჭმელს ძალიან უსუფთაოდ და უგემურად აკეთებენ, სუფთა ერბოს მაგივრად რომელიც აქ იაფია, ქონს ჰხმარობენ. თუ ვინიცობაა ვარია მოგწყინდა და შემწვარი მოითხოვე, რაღაც გამოხარშულს ჩალასავით უგემურს ხორცს მოგიტანენ. სუკს და, საზოგადოდ, გემრიელს და ნოყიერს საჭმლებს აქ იშვიათად იშოვნი რესტორანებში.

საკლავ საქონელს აქ არავინ შინჯავს. ყასბები, რაც მოხვდებათ, იმას ჰკლავენ. ყასბებს სწორედ იმისი დარდი აქვთ, საქონელი საღია თუ სნეული, ხორცი ხომ მაინც გაიყიდებაო!

აქ ექიმები ყველა ავადმყოფს რძის დალევას ურჩევენ. განა შეგიძლიანთ წმინდა რძე იშოვნოთ? კარგი, თუ სახლის პატრონს ძროხა ჰყავს და იქვე, მოწველის დროს ნება მოგცა რძე აიღო; თუ არა და ნაღებ-მოხდილს და წყალ-ნარევს მოგიტანენ. ნეტა იაფი მაინც იყოს. თითო ბოთლი 12—15 კაპეიკად ფასობს. კარგა მოწყობილ კურორტზედ განსაკუთრებულ ყურადღებას ავადმყოფების ჯანმრთელობას აქცევენ. აქ-კი ავადმყოფი ღვთის ანაბარად არის მიტოვებული. თუ მდიდარი ხარ, ხომ რა კარგი, ყველაფერს შენს გემოვნებაზედ მოაწყობ, თუ არა და, ყველა ზემოხსენებული გაჭირვება უნდა აიტანოთ.

ბინდისას რომ ქუჩაში გამოხვიდე, იმისთანა სიბნელეა, რომ გეშინიან არ გადიჩეხო სადმე. აქ ფანრები შორი შორსა სდგას, ყველა სახლის წინ სახლის პატრონებს უდგათ ფანარი, მაგრამ მაგარი ის არის, რომ არ ანთებენ. თაოსანი პატრონი რომ ჰყავდეს აბასთუმანს, სასტიკ განკარგულებას მოახდენდა და დაავალებდა ყველას ფარნები აენთოთ დროზე, რიგიანი საჭმელ-სასმელი ეყიდნათ და სხ.

მო—კე.

საჭილაო (სენაკის მაზრა). ბატონო რედაქტორო! „ცნობის ფურცლის“ № 1846-ში გვითხულობდი ვიღაც მიხაკოს წერილს ცხენის წყალზედ არსებულ ბორნების შესახებ. ყოველივე მაგ შენიშვნაში სიმართლეს მოკლებულია. ბ. მიხაკოს ვიღაცასაგან გაგონილი დამახინჯებული ამბავი თავის ფანტაზიით შეუფერადებია და „ცნობის ფურცლისათვის“ მიუწვდია.

ცხენის-წყალზედ არსებობს ორი ბორანი (საჭირო არის მეტიც იყოს), ასათიანების მამულში. ერთი მათგანი ეკუთვნის ამხანაგობას (და არა მთელს საზოგადოებას, როგორც ჰგონებია ჩვენს მიხაკოს), მეორე-კი თვით მამულის მეპატრონეთა (ნ. ი. და კ. ასათიანებს). 15 წელიწადზედ მეტია, რაც ასათიანები სარგებლობდნენ თავიანთი ქონებით. მაგრამ თანამედროვე ცხოვრებაში ხშირად ვხედავთ ამგვარ მოვლენას, რომ ღონიერი და მდიდარი სცდილობს მოსპოს და შთანთქას სუსტი. ამგვარმა ცუდმა ზნემ თავი იჩინა ჩვენს სოფელშიაც. წელს მდ. ცხენის წყალმა წაართვა ზემოხსენებულს ამხანაგობას საბორნე ადგილი. ამ მოვლენით გაბრაზებულს ამხანაგობას დაეხარბა ასათიანების კეთილდღეობა და, ზოგიერთი ვაჟბატონების შთაგონებით, განიზრახა ასათიანებისათვის საბორნე ადგილის წართმევა. მართლაც, ამ ვაჟბატონების წაქეზებამ იქონია გავლენა. 26 მაისს, იქნებოდა ღამის 9 საათი, სოფელში ასტეხეს ზარების რეკა; არ გაუვლია ხუთ წამს, ორასამდე შეიარაღებულმა კაცმა მოირბინა მდინარის პირს: ზოგიერთ სოფლის მცხოვრებთ ეგონათ, სოფელში ცეცხლი გაჩნდაო და შეშინებულნი გარეთ გამოცვივდნენ. თურმე ამხანაგობის წევრებს მოლაპარაკება ჰქონიათ, რომ ამ დანიშნულ ღამეს, ასათიანებისთვის წაერ-

---

ფელეტონი

„აბდულ-მესიანი“

ანუ

„შესხმა თამარ მეფისა და დავით სოსლანისა“.

II

„შესხმის“ თხრობა [1].

შესავალი:

სამებით ღმერთმან
არსებით ერთმან
მომცეს მე სწავლა
თქვენდა შემკობად;
გიძღვენ ქებანი,
მწადს აქ ებანი (დამღერა)
და, ვით ის დავით [2],
ვსჯდე მუსიკობად.
მესმა ზევსური,
რა ვნახე, ვსური,
რომ სიტყვა მეთხზნეს
მე ვისა ძნობად,
მუნ გულის ხმობით,
თვით გულისხმობით,
კარი სიბრძნისა
სულელთაა ცნობად.

ვის ძნობად სიტყვას ვთხზავო, იქვე (მუნ) გულის ხმობით იგულისხმება სიბრძნის კარი სულელთა შესამეცნებლად.—და შემდეგ:

შემოკრბით ბრძენნო,
ათინელთ ძენო,
თამარს [3] ვაქებდეთ
მეფედ ცხებულსა,

ქებულს კრიტს, მაღრიბსა და მაშრიყს, ეგვიპტეს, ჩინეთს, თარშის. გარნა ამ მეფეს ღირსეულად ვერავინ შეაქებსო, ვერც ფილოსოფოსნი და ვერც ვარსკვლავთ-მრიცხველნი, ამიტომ რომ

ძე ადამისი
მსგავსად ამისი
ვისცა ეხილვონ,
მამცნონ, სად არი?
ღმერთმან სამოთხით
მოგვცა სამოთ ხით (საამო ხით)
ეთერ ბრწყინვალე,
მზეებრ სადარი;
აღმოსავლეთით
და დასავლეთით,
სამხრით ჩრდილომდის
ჰპოონ, სად არი
ზესკნელ ქვესკნელით
და გარესკნელით
უკანასკნელით
უფსკრულ სადარი?
ვიწყო-ღა ქებად,
ძვილ შეკადრებად,
მსმენელთ ვაუწყო
ქვეყნის მპყრობელი:
მხნე, ღმობიერი,
ქველი, ძლიერი,
ჰაეროვანი,
მტკიცედ მფლობელი,
შარავანდ გმირი,
ორგულთ გამგმირი,
მტერთა ქვესკნელად
დამამხობელი,
რიტორი ბრძენი,
მეფეთა ძენი [4],
ასპარეზთა ზედ
მსპარაზნობელი.

X

დავით წინასწარმეტყველისთვის შემოეფიცა უფალს, შენგან ნაშობს არ გამოვაკლებ მეფობასო. თანახმად ამ მცნებისა გაგვიმეფდა დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი, გაგვიმეფდა

დავით ძლიერი,
მხნედ საშინელი.

მას

ვგონებ მაქსიმედ,
ჩემთვის მაქს იმედ
მისგან სულისა
დამბექვდელობა.

ამ სარდარს (სარდალს) უხდება ალვისხეტანი. იგი ზრდის, სწურთნის მეომრებს (მონათა) შემუსრავს, შეფქვავს მტრებს და დაამხობს მათ.

მხნედ ვარ და ვაქებ ჩვენს დიდს უფალს
თამარ [5] მეფესა,
მტერთ სისხლ-მჩქეფესა,
უკვდავთ წყაროსა,
ცის სამყაროსა,
სხვათა მძლეველსა,
თვით უძლეველსა,
კისკასად მქცევსა,
ტანად საროსა,
მზედ სახოვანსა,
თვით ახოვანსა.

იგი,

მსგავს ამანტისა,
არა მანტისა,
უფროს მტკიცეობს
ანდამანტისა,
სწორად არს აზისა,
კირჩხიბსა ზისა,
მთა ვერად სწორავს
არარატისა.

მეფეა

მადლისა პირი,
სიბრძნის სადგური,
მხედარი ღვთისა
სამხატოვნისა.

მასთან

ყნოსა შროშანთა,
მღერა შროშანთა,
ხმანი ცუდ-იქმნეს
საფირონისა.

მას

სალიმ და თური,
ძალთ უკეთური,
როსტომ ვერა ვცან,
სწორავს თუ რითა!

ეს მეფეც დავით წინასწარმეტყველის შთამომავალია:

ძირით მისისა
იესესისა
იშვილი მართალი [6]
იშვა ცხოვრებად,
ქალწულ წმიდისა
წილხდომილისა
საქართველოსა
მეფედ წოდებად,
სვეტად სჯულისად,
ხლუდედ სულისად,
აგარის ერთა
ცეცხლთა მომდებად:
ა, ხალიფასი
ახალი ფასი
ურავლად მოერთმის
თავთა მონებად [7].

ასრეთი ძლიერება მეფეებისა მტერს თავზარს სცემს და საგონებელში აგდებს:

იკითხვენ, სწერენ,
თაყუმსა სჩხრეკენ,
რამლს ჰკვრენ, არჩევენ
ბედთა **მათთაგან.**

ჩვენ-კი ვხედავთ და გვესმის, რომ სამოთხის ცხოველი წყალი გერწყავს, რომ მეფე ჩვენი

დოვლათ სვიანად,
სუფევს მზიანად
შვიდთა მნათობთა
გარმოზღუდვითა [8].

განათლდა არე ისე, როგორც ნათლდება მთვარე, როდესაც ისსნება ცა ხომლით და

ხილვა მეფისა
მჭვრეტელთ ეფისა
თვალნი მაღნიტზედ
ფოლადობითა [9]

---

[1] № 160 მესამე გვ. მეორე სვეტის 28 სტრიქონში დაბეჭდილია Синъ, Симъ-ის მაგიერ.

[2] იგულისხმება დავით წინასწარმეტყველი.

[3] მარრს დავითად შეუცვლია (დავითს ვაქებდეთ).

[4] ძენი—ჯენი, რომელიც ზის.

[5] მარრს დავითად შეუცვლია.

[6] თუ „შესხმაში“ ნაქებია მხოლოდ ერთი მეფე, მაშ აქ (მეთექვსმეტე ტაეპში) რაღად გაიმეორა ავტორმა ის, რასაც იგი ამბობს მე 5—6 ტაეპებშიაც?

[7] ხალიფას დამარცხება თამარის მეფობაში მოხდა. მაშინ „შიშიდა ზარი დიდი იყო ყოველთა სულტანთა ზედა. და აღივსებოდა ნილოსი და იეფობდა ეგვიპტე, მოაკლდებოდა ისმაილს, განიქიტნებოდა აგარ, იკურთხოდა ისაკ, მოაკლდებოდა მაჰმადიანთა, ქრისტეანეთ ორლანონი ხმოვანობდეს კიდით კიდემდე, დაშრტა სასოება მუსულმანთა და ხალიფას პირით წყალობა ითხოვეს თამარისაგან: ხარკი აიღე ჩვენგანო, მახვილი დააყენეო და ჩვენი რბევა იკმარეო. თამარმა ხალიფასაგან მიიღო მრავალ ფერნი სამეფო ძღვენნი და ხვეწნა აუსრულა: ხარკი მოიტანეთ და ცხოვრება მოგანიჭოთო. მათაც შეასრულეს (ქ. ცხ., გვ. 318).

წ. კ. ს. ბიბლიოთეკაში არის თამარის ხატი, რომელზედაც წარმოდგენილ არიან „ახალი ფასით“ დატვირთულნი ხალიფას მეომარნი, წელწყვეტით და გაბმით მომავალნი წინაშე თამარ მეფისა და მისს მაღლა აფრიალებულ დროშისა.

ხალიფა საზარლად შემუსრა დავით სოსლანმა, გაუცლიტა მას აუარებელი ლაშქარი, წაართვა ყოველივე, თვით დროშაც-კი, და ეს დროშა თამარმა შესწირა გელათს შემდეგის ზედ წარწერით:

ხალიფას დროშას თანავე მანიაკსა
შევრთე ცრუ სჯულთა მოძღვრისა ლაზოდ მძლევანი,
ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან,
მოირთხნა, მოსრნა სულტნითა ათაბაგი.

[8] ქ. ცხ., გვ. 278: „შვიდთა სარტყელთა ცისათა სფეროსანთა—კრონოსს, ზევსს, აფროდიტოს, აპოლონს, ერმის, ირაკლის და არეას შესახა სფერო მიწიერი შვიდმნათობიერმა“.

[9] „ქ. ცხ.“ გვ. 280: თამარ, „შვენებით აფროდიტიანი და სიუხვით მზეებრ აპოლონიანი, სატურფო საჭვრეტი ვიდრე დაბნედამდის, გაჭრა-გახელებამდის, ყოველთა მისთა გამცდელ-გამხედველთა შეიპყრობდის წყალ-ჯავარობითა უმაღლოითოით და სახითა ღვთივ ქმნულითა“. იხილეთ თუ ვითარ სატურფო და მაღნიტებრ მომზიდველობა აქუნდა“... (გვ. 300).

თმათ საბორნე ადგილი და თავისი ბორანი ჩაუბათ. უმოწყალო წევრებმა მიაღწიეს თავის მიზანს, ასათიანების ალაგში თავისი ბორანი ჩაბეს. ასათიანები იძულებულ იყვნენ მთავრობისთვის მიემართნათ. 22 ივნისს მობრძანდენ სენაკის მაზრის უფროსი, აბაშის ნაწილის ბოქაული და ჟანდარმის პოლკოვნიკი; პირველნი ასათიანების სიმართლის გამოსარკვევად, მეორე-კი ზარების რეკის და არეულობის შესახებ. მაზრის უფროსმა დაინახა ასათიანების სიმართლე, იცნო საბორნე ალაგი მათ საკუთრებათ და მათვე დაუბრუნა. ამხანაგობის მოთავენი დამნაშავეთ იცნეს, და სამი თვის დაპატიმრება მიესაჯათ.

ამ არა სასიამოვნო გარემოებასთან არ შემიძლია არ ვახსენო ჩვენის სკოლის უკიდურესი მდგომარეობა, რომელიც აგერ 7 წ. მეტია არსებობს, მაგრამ სწავლა-კი რიგზედ ერთს წელსაც არ უოფილა. საზოგადოება მოვალეა თავისი შვილების აღსაზრდელი სახლი მოაწყოს, მომავალ თაობისთვის იზრუნოს და არა ტყუილ-უბრალოდ ასტეხოს დავი-დარაბა, შეაწუხოს მთავრობაცა და თავის თავიც...

ბ. ცხენის-წყლის პირელი.

უცხოეთი

ინგლისი. 22 ივლისს საზოგადოებათა პალატის კრებაზედ დეპუტატი მაკ-ნეილი შეეკითხა ბალფურს, მთავრობის მიერ დანიშნული კომისია სამხრეთ-აფრიკის ომის დროს ჩადენილ ბოროტ-მოქმედებათა გამოსაძიებლად თურმე მარტო იმ საქმეებს შეეხება, რომელიც პრეტორიის აღებამდე (5 ივნისი 1900 წ.) მომხდარაო; განა პრეტორიის აღებიდგან ომის გათავებამდე მეტი ბოროტ-მოქმედება არ ჩაიდინეს, ვიდრე წინად და რადა სტოვებთ უყურადღებოდ ამ ამბებსაო.

პრემიერმა უპასუხა, „საბრალო“ კომისიას ისედაც მეტად სამძიმო საქმე დაევალა და გვინდოდა რამოდენადმე მაინც შეგვემსუბუქებინა მათთვის შრომაო გამოძიება მიტომ დაინიშნა, რომ ომის დაწყების პირველს ხანებში ჩვენ ხშირად ვმარცხდებოდით და ამას ზოგიერთნი მითი ხსნიდნენ, ვითომც მთავრობამ გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა და სამხედრო სამინისტრო რიგიანად ვერ მოემზადა ომისათვისაო. უპირველეს ყოვლისა სწორედ ეს საკითხები უნდა გამოარკვიოს კომისიამ. განსაზღრული ვადა მხოლოდ სამხედრო მოქმედებას შეეხება და არა ჯარისა, სურსათისა და საქონლის გადახიდვასაო; ეს უკანასკნელი დაწვრილებით უნდა გამოიძიოს კომისიამაო. სანამ სესია დაიხურებოდეს, პალატას უფრო დაწვრილებით მოხსენდება კომისიის პროგრამაო.

— ევროპას გამგზავრების წინა დღეებში გენერლებს ბოტას, დევეტსა და დელარეის მოწოდება გამოუციათ ბურების ოჯახობათა მიმართ.

„დანო და ძმანო—სწერია მოწოდებაში—ჩვენ მოვალენი ვართ გამოგიცხადოთ, რომ ფერეინინგში 31 მაისს (ახ. სტ.) ხალხის წარმომადგენლებმა დაგვავალეს, ვეცადოთ და საზღვარ-გარედ ომიანობისაგან გაღარიბებულ-განადგურებულ ხალხის სასარგებლოდ შემოწირულებანი შევჰკრიბოთ. ამ მონდობილობის განსახორციელებლად ჩვენ ეხლა ევროპას მივემგზავრებით. ამ შემოწირულობით დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ უფრო ქვრივ-ობლებსა და ხეიბართა, მოვუპოვოთ თავ-შესაფარი და ობლებს მივსცეთ საშუალება სწავლის მიღებისა. ეხლა თქვენ იცით, რა აზრითაც მივემგზავრებით ევროპას და გთხოვთ იქონიოთ მოთმინება; ნუ დაეცემით სულით, ილოცეთ და გამხნევდით. ვიმედოვნებთ, რომ მალე მოგეშველოთ და თქვენი მძიმე ტვირთი შეგიმსუბუქოთ.

— გასულ კვირას, სადამოთი, გოფმარშალმა ტელეფონით მოიწვია გვირგვინის კურთხევაზედ დასასწრებლად ყველა იმ ქალაქების მერები, რომელშიაც 20 ათასზედ მეტი მცხოვრებია; ამასთანავე სთხოვდა, რომ პასუხი ტელეფონითვე ეცნობებინათ მისთვის. იგინი სადღესასწაულოდ უნდა ყოფილიყვნენ გამოწყობილნი. მერების დაპატიჟება, ალბად, იმან გამოიწვია, რომ ჰშიშობდნენ, ვაი-თუ სხვა სახელმწიფოებმა აღარ წარმოგზავნონ საჭირო რიცხვი თავიანთ წარმომადგენლებისა და ვესტმინსტერის საბატო აღარ გაივსოს დიდებულთაგანაო. ეს-კი ცუდს შთაბეჭდილებას მოახდენსო დამსწრე საზოგადოებაზედ. კლონმელის (ირლანდიაში) მერს გოფმარშლისათვის შემდეგი პასუხი მიუცია ტელეფონით: „არავითარი სურვილი არა მაქვს, რომ გვირგვინის კურთხევის დღესასწაულზედ მიმიწვიოთ და არც ვღებულობ თქვენს დაპატიჟებასაო“.

საფრანგეთი. პროვინციებიდგან კიდევ მოდის ცნობები კლერიკალთა მანიფესტაციების შესახებ; როგორც ეტყობათ, ძალიან მალე დაღალულან და მცირე წინააღმდეგობას-ღა უწევენ ადმინისტრაციას, რომელსაც მინდობილი აქვს ნება-დაურთველ სკოლების დახურვა. თუ კლერიკალებს დღემდე არ დაეკარგათ მადა წინააღმდეგობისა, ეს იმის ბრალია, რომ დედაკაცები ფანატიკოსობენ და არას გზით არ უნდათ მთავრობის განკარგულებას შეურიგდნენ; მაგრამ რას გახდებიან, როდესაც რესპუბლიკანელნი ითესგან მართავენ მათ საწინააღმდეგო მანიფესტაციებს. მთავრობას ყოველის კუთხიდგან მოსდის მრავალი მილოცვა, რომ ასე ენერგიულად შეუდექით კლერიკალების ალაგმვასაო.

მაგალითად, ვალანსიენის მუნიციპალურს საბჭოს შემდეგი ადრესი გაუგზავნია 21 ივლისს მინისტრ-პრეზიდენტისათვის: „გისურვებთ გამარჯვებას, ბ-ნო მინისტრ-პრეზიდენტო, და გთხოვთ ბეჯითად მისდიოთ საკონგრეგაციო კანონის განხორციელებას; დროა დაითრგუნონ კლერიკალნი და რეაქციონერნი, რომელნიც მუდამ მტრობდნენ ჩვენს საერო დაწესებულებათა და, მაშასადამე, თვით რესპუბლიკასაც“.

— დეპუტატთა ბურჟემ და კოშენმა და აკადემიკოსთა ბრიუნეტიერმა, რუსსომ, კალიეტემ, ლერუა-ბოლიემ და პიკომ მოწოდებით მიჰმართეს სწავლის საქმეში სრულის თავისუფლების მომხრეთა, ნუ მივსცემთ ნებას, რომ ამ საქმეს მარტო ერთი რომელიმე დასი განაგებდესო.

სხვა-და-სხვა წერილები

სამეურნეო კურსები სოფლის მასწავლებელთათვის ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში *).

მასწავლებლების კრება დაიწყო შემდეგის საკითხის გარჩევით:

საჭირო არის თუ არა სამეურნეო განყოფილების დაარსება და სამეურნეო საგნების შესწავლა ქუთაისის გუბერნიის დირექციის სასოფლო სასწავლებლებთან. ხანგრძლივის ბაასის შემდეგ მასწავლებელნი დაადგნენ ამ აზრს:

1) დასავლეთ საქართველოში თითქმის არ მოიპოვება ისეთი დიდი ქარხანა, რომ მრავალ მუშა ხალხს იზიდავდეს; არ არის ისეთი მრეწველობა, რომ დიდი შემოსავალი მისცეს ხალხს, რომელსაც არც შინა მრეწველობა აქვს მკვიდრს ნიადაგზედ დამყარებული; სამაგიეროდ აქ თვით ბუნება ხელს უწყობს მეურნეობის თითქმის ყველა დარგის წარმოებასა და განვითარებას; ამიტომაც მეურნეობა აქ ერთად ერთ შემოსავლის წყაროდ გახდა, რომელზედაც დამოკიდებულია მატერიალური მდგომარეობა თითქმის მილიონ მცხოვრებისა. თუმცა მეურნეობას ასეთი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის და თუმცა ხალხს თან-და-თან ემატება ათასნაირი მოთხოვნილება, რომლის დასაკმაყოფილებლად მას, მეურნეობის მეტი, სხვა ღონისძიება არა აქვს,—მეურნეობა მაინც უკიდურეს მდგომარეობაში არის ჩავარდნილი, და ამიტომ აუცილებლად საჭიროა გავრცელდეს ხალხში სამეურნეო საგნების სწავლა; ხოლო მაგ სწავლის ხალხში გავრცელება შეუძლია ყველაზედ უკეთ მხოლოდ სოფლის მასწავლებელს, რომელიც სოფელში თვით მეურნეებთან სცხოვრობს.

2) სამეურნეო საგნების სწავლა ჩაჰნერგავს მოწაფეების ნორჩს გულში რიგიან მუშაობის ხალისს და ბუნებისა და მამულის სიყვარულს; ის სამუდამოდ განამტკიცებს ერთობასა და კავშირს კურს დასრულებულ მოწაფეთა და სასწავლებელს შორის, რომელთაც ეხლა არ აერთებს საზოგადო ინტერესი.—ეხლა მოწაფენი გულგრილად ეთხოვებიან სასწავლებელს და გაუშორებლად არც-კი ეკარებიან თავიანთ სულიერს აღმზრდელს.

3) როდესაც სოფლის მცხოვრებნი დაინახვენ სასწავლებელთან რიგიანად შემუშავებულ ბაღსა, ბოსტანს, საყანეს, კარგის ჯიშის ფრინველს, როდესაც დარწმუნდებიან, რომ ყველა ეგ მათი შვილების ნაშრომი და ნაჭირნახულევია,—მაშინ მოუხშირებენ სკოლაში სიარულს; ეს ხშირი სიარული, რომელსაც ახალ ცნობების შეძენა მოჰყვება, ბოლოს ჩვეულებად გადაექცევა ხალხს, და მჭიდროდ შეაკავშირებს საზოგადოებას და სკოლას.

4) სამეურნეო განყოფილებას, სოფლის სასწავლებელთან დაარსებულს, შეუძლიან მატერიალურად გააუმჯობესოს როგორც სასწავლებლის მდგომარეობა, ისე მასწავლებლის მდგომარეობაც. როდესაც საზოგადოება დაინახავს სასწავლებლის პრაქტიკულს ცხოვრებისათვის გამოსადეგ მიმართულებას, გულ-მხურვალედ მოეკიდება ასეთს სკოლას და გაშენებაშიაც ხელს შეუწყობს,—მაშინ სკოლას აღარ დააკლდება აბრეშუმის ჭიის საკვებად თუთის ფოთლები, წვრილ-ფეხის საზრდო, მიწის სამუშაო იარაღი და მრავალი სხვა, რაც აბრკოლებს ეხლა სამეურნეო განყოფილების წინმსვლელობას.

5) სამეურნეო საგნების პრაქტიკულად შესწავლა კიდევ იმისთვის არის სასურველი, რომ ასეთი სწავლა ითხოვს შეგირდების სხეულის მოძრაობასა და ვარჯიშობას, რაიცა უმატებს მათ ჯანმრთელობას, ენერგიას და სიმარჯვეს.

მეორე საკითხი იყო შემდეგი: რით უნდა ახსნას ის მოვლენა, რომ სოფლის სკოლის შეგირდებს, რომელთაც შეუსწავლიათ სკოლაში მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა და მებაღეობა, თითქმის არავითარი გაუმჯობესება არ შეაქვთ თავიანთ მამულების მეურნეობაში?

სტატისტიკურ ცნობებიდგან სჩანს, რომ ქუთაისის გუბერნიის 126 სასწავლებელში ასწავლიან ამ სამეურნეო საგნებს, ზოგიერთს მათგანს მაინც. შუა რიცხვით, ყოველს წელს, თითო სასწავლებელში ათავებს სწავლას ათი შაგირდი, ან ყველა 126 სასწავლებლის კურსს ამთავრებს 1260 მოწაფე; ამასთან ყოველს წელს სხვა და სხვა მიზეზების გამო სასწავლებლის სხვა განყოფილებიდგან გამოდის შუა რიცხვით ხუთმეტი მოწაფე, 126 სასწავლებლიდგან 1890 მოწაფე სულ (1260+1890) 3150 მოწაფე, რომელსაც უნახავს რიგიანი მუშაობა. ამ რიცხვიდგან რომ ყოველ წლიწადს სოფლიდგან გამოსულიყო ხუთასი კაცი, მაინც მამის გუთანთან უნდა დარჩენილიყო ყოველ წლიწადს ორ-ათას-ექვსას-ორმოც-და-ათი სული; უკანასკნელს ჩვიდმეტს წელიწადში-კი სულ ორმოც-და-ხუთი-ათას ორმოც-და-ათი (45050) სული. ამ რიცხვს რომ გამოვაკლოთ ორი-ათასი მიცვალებული, კიდევ უნდა დარჩენილიყო ორმოც-და-სამი-ათასი სული, რომელსაც რამდენადმე რიგიანად მაინც უნდა ჰქონდეს დაყენებული რომელიმე მეურნეობა, რომელიც უნახავს ან შეუსწავლია სასწავლებელში. მაგრამ, საუბედუროდ, ეს ეგრე არ არის, და თუ ამ მეურნეობას ცოტა რამ გაუმჯობესობა ეტყობა—ეს მხოლოდ პირადად მასწავლებლის მეცადინეობას უნდა მიეწეროს და ზოგიერთ მშობლებს, რომელნიც ხან-და-ხან სასწავლებელში მოდიოდნენ ხოლმე.

აქიდგან სჩანს, რომ სასწავლებლებმა და მათ სამეურნეო განყოფილებებმა ვერ შეიძინეს თანაშემწენი, რომელთაც ჰქონდათ ხალისი არამც თუ საზოგადოებაში გაევრცელებინათ, არამედ თავიანთ მამულებში შემოეღოთ მაინც რომელიმე რიგიანი მეურნეობა.

მასწავლებლების აზრით, ამის მიზეზი ის არის, პირველი, რომ სკოლებს არა ჰყავთ სპეციალისტები, რომელთაც შეეძლოთ სამეურნეო საგნების რიგიანი სწავლება; და მეორე, სასწავლებლის მატერიალური სიღარიბე. ამ ხელ-მოკლეობის მიზეზით ბევრი სკოლების მიწები ჯერ კიდევ არ არიან შემუშავებული: 180 დესეტინა და 1355 ოთხ.-კუთხ. საჟენი.

მასწავლებლებმა აღნიშნეს ისიც, რომ ქალაქის სამეურნეო სასწავლებლების შეგირდები, იშვიათად უბრუნდებიან სოფელს თავიანთ მამულებში სამუშაოდ, არამედ მიესწრაფვიან ქალაქისაკენ, რომლის მცირე ჯამაგირზედ სცვლიან თავისუფალ მდგომარეობას თავიანთ მამულში და მუშაობას,—იმათ რცხვენიათ მუშაობისა. ამ აზრის წინააღმდეგი გახდა მხოლოდ ერთი მასწავლებელი—ძველსენაკის სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი ხოფერია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამ უკანასკნელ დროს სამეგრელოს თავად-აზნაურთა შვილები მუყაითად ეკიდებიან მუშაობას თავიანთ მამულებშიო.

ამ აზრების წარმოთქმით დასრულდა კრება დილას, ოთხს ივლისს.

ხანგრძლივი და მხურვალე ბაასი მასწავლებლებისა,—რომელთა უმეტესობა დიდი ხანია მუშაობს სკოლებში, დაწვრილებით იცნობს სოფლის ცხოვრებას და გულ მხურვალედ ეკიდება თავის წმიდა მოვალეობას,—ნათლად გვიმტკიცებს, თუ რა შეუძლია სოფლის სკოლას, გარდა ანბანის სწავლებისა. საკვირველი იყო, რა თავ-გამოდებით კისრულობდნენ ეს დაუღალავნი მუშაკნი, სოფლის მასწავლებელნი, მშიერნი და მწყურვალნი და ცივ სახლებში მცხოვრებნი, რა თავ-გამოდებით კისრულობდნენ მეტს შრომასა და ტვირთს, ოღონდ მეურნეობის სწავლება ვრცელის პროგრამით ყოფილიყო შემოღებული სოფლის სკოლებში.

მეორე კრება მასწავლებლებს ჰქონდათ ხუთს ივლისს საღამოს.

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება)

*) იხილე „ივერია“ № 151

თეატრი და ხელოვნება

დ. სურამი. პარასკევს 25 თიბათვეს ძმათა დოტოვების პარკში სცენის-მოყვარულთაგან არტ. ნ. გაბუნია-ცაგარელის, გოგოშვილის და გ. ზედგინიძის მონაწილეობით გამართული იქნა წარმოდგენა. გამგედ ბრძანდებოდა ქ-ნი ელენე კეჟერაძე. ქართულ ენაზე წარმოადგინეს „მე მინდა კნეინა გავხდე“ და „Горящія письма“ და „Школьная пора“ ქ-ნმა ნ. გაბუნია-ცაგარლისამ ჩვეულებრივ შესანიშნავად აღასრულა თავისი როლი.

გულითადს მადლობას ვუცხადებთ ყველას, ვინცკი ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო, განსაკუთრებით კი ქ-ს ნ. გაბუნია-ცაგარლისას, დებს ელ. და ალ. ორჯონიკიძეებს და ბარ. სავანლის-ქალს.

საერთო მონდობილობით სტუდენტ ვ. ლიაძე

—

კვირას, 5 ივლისს ქარელის სადგურზედ გამართულ იქნება წარმოდგენა და საცეკვაო საღამო. წარმოადგენენ ვოდევილს „ადვოკატთან“. მონაწილეობას მიიღებენ ტფილის დრამატიულ დასის მსახიობნი.

გვეყოფის მეფე ლხინად და
მხედრად ქველობით,
უძლეველობით,
სახედ უსწორო
ანაგებითა.

იგი
ცუდ ჰყოფს მისანსა,
ტილისმისანსა,
ხრიზმოსთ კითხვითა
ანა გებითა [10].

ჩემის ბრგვნილის ენით შევკადრებ შესხმას თამარ მეფეს, მაღალს, მხნეს, ბრძენთა სეხნიას; ნეტარს, გოლიბერ მწთოლვარეს, მოწყალეს. იტყვიან, „მართალი სამართალი ხმელს ხესაც გაანედლებსო“. და მეც თამარის შესახებ ვიტყვი მხოლოდ მართალს.

აქვს მას ტრიონი [11]
სანატრიონი
საწმისისაგან
სამოსად გარედ;
აქვს სასოება,
მას სათნოება,
სარწმუნოება
სიყვარულითა.
მადლთა ტალანტი,
სავსედ ბალანტი.[12]
შეუკრებიეს
თვით სურვილითა,
ქველის საქმითა,
ვკვირობ აქ მითა,
რაც ოდენ მესმის
იდუმალითა,
უსხეულონი
ზეცისა ძალნი
მისთვის იშვებენ
სიხარულითა

საბექავს ფიცარს (აფთონს) ებრძვის, დილის მზის სხივებამდის რუდუნებს, ხელსაქმობს:

აფთონს ჰბრძავს, ათენს,
ესრეთ გაათენს
წყვდიადსა ნათლად
სხივნი მზისანი.[13]
ვით ვუძლო ქებად,
შესხმად, დიდებად
თქვენდა, მსაჯულო
სიმართლისაო.
ჰმთავრობ და უფლებ,
ათავისუფლებ
პყრობილთა, ბრძმედო
სიწმიდისაო.

შენ
არსება გმზეობს,
მის მიერ გმზეობს
წიაღი გულის
აბრამისაო.
ხარ უკვდავება,
ვით უკვდავება,
რაც ძალ-მიძს ქებად,
ვიწყო მწადენი:
ტურფა სახითა,
ცხოვლად სახითა
მოყმე მხნე უხვი[14]
დაიბადენი.
სიბრძნისა სირად;
სწავლისა სირად
გარეთ მოგეთხზნეს
რიტორთ ბადენი.[15]
აწა მეთავსა:
აწამე თავსა
ღვაწლი, ვინ უწყის,
თუ რაოდენი.

შენ „ზეცით ხარ ნათლად, ბრწყინვალე სანთლად“. რად ვიწყო ჩვენ თქვენი ქება? ამიტომ რომ

მსვრელ ბარბაროზთა,
მძლედ სარკინოზთა
ჩაფხუტ-ჯაჭვ-ჭურით
ოროლითურთით
. . . .
ისაკებრ პირმშობ
კურთხევით, ნიშობ
მელქისედეკის
ლოცვით ზედა მთით.
ესა ვისითა,
ესავისითა
მაუწყონ, მთქმელთა,
თუცა რათ ვურთით?[16]

გორგასლიან-დავითიანი დროშა [17] იახლა, იომა, იმდენი ბრძოლა გადაიხადა, ენა ვერ მოსთვლის, როსტომ გმირის უძლიერესნიც დაამხო, აღმოფხვრა მტერი, მისი ძე და ასული, მეფენი გლახაკებრ ჰყო, სულ იმონა, ლიმონის კიდეც [18], ვისაც რისხვით უხმო, უტყვ-ჰყო, უხმო, ვით მზე ჰფარავს ვარსკვლავებს, ეგრე დააბნელა ყოველნი მპყრობელნი, ვეფხვებრ მკრჩხალით მეხ-ექმნა მტერს, ლოდნი დაუშინა, და მტერნი ლოდთაებრ უფსკრულს ჩაცვივდნენ.

აქ (საქართველოში) ლაშქარი, მეგობართაგან მოთხოვნილი, არ დააყოვნა („აქ არ ავანი ა ქარავანი, მეგობართაგან მათთვის საწოდნი“), არამედ მიაშველა [19].

შენ ხარ კეისარი, ხარკე მტერი, ის არი სიმდიდრით ლაღი, ჯიმშედს (სპარსეთს) მფლობელი. ოსმა (მ-ოსიმ [20]) აღახოს მახვილი თქვენი მტერი, მწყობელი, ჯალაცა სეფქვევ, ასე მოსვრით ფქვევ, ბრჭალითა შენით დაიპყარ იგი.

კვერთხი მეფეთა,
დიდ ხელმწიფეთა
თვით გაქვს გებალით,
სხვამც რად ეკვეთოს?
ჯაჭვ-საჭურველნი,
ძნელ სასურველნი,—
მით სარკინოზნი
მყის დაეკვეთოს.
ხრმალი ლესული,
მაზედ მხნე სული (დავით სოსლანი?)
ბარბაროსთ მსვრელად
მყის წარგემართოს (წარგეგზავნოს),
მკლავნი ძლიერნი,
გმირთა მძლიერნი
რისხვით მათ ზედა (მტრებზედ)
რომ მოგემართოს...
შესამოსელნი
შესამკობელნი

---

[10] „ქ. ცხ.“ (გვ. 312—314) მწვალებელთ და სომხებს ხრიზმისად უწოდებს. თამარი და კათალიკოზი იოვანე ამხილებდნენ სომხებს და მართლმადიდებლობის სიჭეშმარიტეს უმტკიცებდნენ. ეშმაკმა გონების თვალი დაუყენა ზოგიერთებსა და ხრიზმოსთ შეასაკუთრაო (იხ. იქვე თამარისა და იოანეს კითხვა და სიტყვის გება ხრიზმოსთადმი).

[11] ტრიონი—სამეფო წამოსასხამი საწმისისა. ამავე ტრიონით გამოხატულია თამარი წ.კ.საზ.ძველს ხატზე.

[12] ბალანტი—პარკი.

[13] ამ ტაეპებში ლაპარაკია შესახებ თამარის შრომის მოყვარეობისა. ქართლის ცხოვრება ბევრგან ამბობს (გვ. 311, 312, 337), რომ თამარ მეფე ღამ-ღამე მღვიძარეობდაო, მუხლ-დრეკით ლოცულობდაო და მერე იღებდა ხელ-საქმეს და მარტოდ-მარტო შრომობდაო, ღამეს ათენებდაო: „ღამე ყოველ ხელთ-საქმარი, რომელი გლახაკთ მიეცემოდა“ (გვ. 311). იქვე მოთხრობილია, თუ როგორ მოეჩვენა თამარს ნათლით მოსილი კაცი და აუწყა შენის ხელით არ შეგიკერია სამოსლები მღვდლებისათვისო. თავის დღიურ საზრდოს ფასსაც თავის საკერავით შოობდაო, როდესაც-კი მოიცლიდა და მარტოდ დარჩებოდა, აიღებდა სასთველს და საკერავს და „ნაშრომსა მას თვისთა ხელთასა ხუცესთა და გლახაკთა თავისივე ხელით განუყოფდაო“.

[14] ქ. ცხ., გვ. 279: მისცა ობოლთა და ქვრივთა კმასაყოფელი, ღონიერ ყვნა გლახაკნი და ღონიერნი—მდიდარ. უხვებით მოჰფინა წყალობა და სამართალი.

[15] სხვა ადგილას შავთელი თამარს სთვლის ბრძენ რიტორად. მასვე ამბობს მის შესახებ ქ. ცხ. (გვ. 284): იყო ნარნარად, მშვიდად და წყნარად მეტყველიდა სიბრძნით შემპასუხებელიო, იყო მეორე სოლომონიო.

[16] დავით აღმაშენებლის „პირმშობაზე“ ლაპარაკი ისტორიაში არ არის და არც საჭირო იყო ამის შესახებ სიტყვის ჩამოგდება. თამარ მეფის „პირმშობის“ ზეცით მოვლენილად აღნიშვნა-კი დიაღამც საჭირო იყო და აუცილებელი. ქართველ „ისაკს“ (გიორგი მეფეს) ჰყვანდა ორი მემკვიდრე, ერთი იყო საკუთარი ასული, თამარ, და მეორე ძმისწული—დემეტრე. ამ დემეტრეს შობითაც და უფლებითაც ეკუთვნოდა უპირატესობა და პირმშოობა, გარნა „ისაკმა (გიორგი მეფემ) თვისის კურთხევით და მელქისედეკებრ ლოცვით უგულებელ-ჰყო „ესავი“ (დემეტრე) და პირმშოობა გადაულოცა „იაკობს“ (თამარ მეფეს). და ჩვენი ავქსონიც ჰკითხულობს: ესავისავით (ესავისებრ) მდრტვინავთ მაუწყეთ, თუ რად ჩავურთეთ აქ თამარის „ისაკისებრ“ კურთხევით პირმშობაო და მელქისედეკის ლოცვით ნიშობაო.

[17] დავით აღმაშენებლამდე ქართულ დროშას ერქვა გორგასლიანი და მას შემდეგ შეიქმნა გორგასლიან-დავითიანი. თამარის დროს ეს გორგასლიან-დავითიანი დროშა უკვე სვიანად ხმარებული იყო. (ქ ცხ., 329).

[18] ლიმონი დაიპყრა თამარმა (ქ. ცხ., 325).

[19] აქ (34,35,38 ტაეპებში) მგოსანი ჩვენს ყურადღებას აქცევს თამარის ლაშქრისაგან ხორასნის დაპყრობას. ზაქ. მხარგრძელი, ვარამ გაგელი და მსახურთ უხუცესი იოანე თამარის წინაშე მოვიდნენ და მოახსენეს: „ბრძანოს მეფობამან თქვენმა, რათა ცუდად არ ვაუქმოთ სპანი თქვენნი, არამედ აღვამხედროთ ერაყსა რომ მგვარსა ზედა, რომელ არს ხვარასანი (შეადარე: „აქ არ ავანი (არ აყოვნე, არ დააბანდე“) ქარავანი (ლაშქარი) მეგობართაგან მათთვის (მტერთათვის) საწოდნი“ (მისაწვდენი). თამარმა შეისმინა მათი თხოვნა, გორგასლიან-დავითიანი დროშა გაატანა ლაშქარს და გაგზავნა. წავიდნენ ჯულას (=მგოსნის ჯალას) და დაიპყრეს მარანდი, მანა, ამბერდი, ე. ი. ქვეყანა, სადაც ძველად მფლობელობდნენ ჯიმშედი და ხვასრო (ქ. ცხ. 326—330)

[20] მ-ოსიმ—ოსმა. შეადარე: რუსი—მ-როველი, ეგვიპტე—მ-ეგვიპტელი და სხ.სვანურად: სავ (ოსეთი) მ-სავ—ოსი; ზან (სამეგრელო), მ-ზან—მეგრელი, ქართ- (ქართლი). მ-ქართ—ქართლელი. და ასეც: მ-ოსი, ვითარცა: რუსობა—მ-რუსობი. მაინცა და მაინც ჩვენ არ დავიჟინებთ, რომ მოსი მ-ოსი-კი არა, იყოს მოსი, როგორც ქვემოთ მგოსანი უწოდს მოსე წინასწარმეტყველს. ვით მოსე (მოსი) იყო მხსნელი თავის ერისა, ისეც ეს ჩვენი მოსიც (ამ შემთხვევაში დავით-სოსლანი), რომელმა თამარის ხმალი აღახო მტრის შესამუსრად.

წერილი
რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ 155 №-ში დაბეჭდილია წერილი ოზურგეთის სამკითხველოს შესახებ. სხვათა შორის ბ. ქორქოლიანი ბრძანებს, რომ სამკითხველო ცუდ ადგილას არის მოთავსებული დუქანში, მკითხველიც ცოტა ჰყავს და ქალები სულ არ დადიანო, და მიზეზად სამკითხველოს ბაზარში მოთავსებას ასახელებს. ყოველივე ეს სიმართლეს მოკლებულია. სამკითხველოში ყოველ დღე 25—30 მკითხველი დაიარება და ეს, ჩემის აზრით ცოტა არ არის იმისთანა ქალაქისათვის, როგორიც ჩვენი ოზურგეთია.

1900 წ. ,როცა სამკითხველო ბაზარში არ იყო, მთელის წლის განმავლობაში 5,582 მკითხველი ჰყავდა და არც წინა წლებში ყოფილა მეტი, როგორც ეს წიგნებიდგან სჩანს. 1901 წ., როცა სამკითხველო ბაზარში მოათავსეს, 7,382 მკითხველი ჰყავდა, და არც ამ მიმავალს წელს იქნება ნაკლები. როგორც ჰხედავთ, სამკითხველო არ ყოფილა ცუდ ადგილას მოთავსებული, რადგან იგი იქ უნდა იყოს გამართული სადაც მკითხველი ბევრია.

ამას გარდა ბ. ს. ქორქოლიანს მოჰყავს რაღაც მაგალითები: სამკითხველოში „ვიღაც სოფლის კაცი შემოვიდა და ვიღაც კაცი იკითხაო, რადგან უბრალო დუქანი ეგონაო“. საკვირველია ღმერთმანი, კაცი შემოვიდა და იკითხა: ეს და ეს კაცი ხომ არ ყოფილა დღეს აქაო. მე არა მგონია ისეთი ვინმე იყოს ეხლა ჩვენში, რომ სამკითხველო და უბრალო დუქანი ერთმანეთში ვერ გაარჩიოს... ერთის სიტყვით, სამკითხველოზე სრულებით არ ითქმის, ცუდ ალაგას არის მოთავსებულიო. სამკითხველოს გვერდზე არის ეტლთა წარმოების „კანტორა“ და ხშირად უხდებათ მგზავრებს ორის სამის საათის ცდა, შემოდიან სამკითხველოში და კითხულობენ სასარგებლო წიგნებს.

სწორეთ უნდა მოგახსენოთ, რომ სამკითხველო ძლიერ კარგს ალაგას არის მოთავსებული, მკითხველიც ბევრი ჰყავს, წიგნებიც საყოფად აქვს და სრულებით არ ესაჭიროება ბ. ს. ქორქოლიანის რჩევა.

ოზურგეთის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს
ბიბლიოთეკის გამგე პლატონ აბაშიძე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

30 ივლისი.

ხარკოვი. 29 ივლისს. დაწვრილებითი ცნობები ხარკოვის გუბერნატორის თავად ობოლენსკის მოკვლის განზრახვის შესახებ: თავადი დასეირნობდა ბაღში თავის ნაცნობებთან ერთად და გაჩერდა დახურულ თეატრის საგუბერნატორო ლოჟასთან. ამ დროს უცნობი ბოროტ-განმზრახველი მიუახლოვდა ორის ნაბიჯის მანძილზე და მის წინ მდგომ საგუბერნიო-საერობო გამგეობის თავმჯდომარის მეუღლის ქ-ნ გორდეენკოს მხარს ზემოდგან ესროლა რევოლვერი გუბერნატორს. ტყვიამ ისე გაუარა კისერთან, რომ არავითარი ჭრილობა არ დააჩინა. ქ-ნ გორდეენკომ ბოროტ-მომქმედს ხელი დაუჭირა. რევოლვერი მეორედ გავარდა. მაშინ მოცვივდა ხალხი და პოლიციის მოხელენი, შეიპყრეს ბოროტ-მომქმედი და ჩაბღუჯეს. მისს ახლო მდგომმა პოლიციმეისტერმა ბესსონოვმა აგრეთვე ხელი სტაცა. ბოროტ-მომქმედმა ორჯერ კიდევ გაისროლა და დასჭრა პოლიციმეისტერი მარცხენა ფეხში, მუხლ-ზეით. ტყვია გავიდა მეორე მხარეს. დაჭრილს დაუყოვნებლივ მიეშველა ექიმი, რომელიც იქვე ბაღში იყო. შემდეგ წაიყვანეს სამკურნალოში, სადაც ჭრილობა შეუკრეს. ძვალი, ძვლის ტკეცები და იოგები ყველა დაუზიანებელია. დაჭრილი თავის თავს კარგად გრძნობს. სიცხემ დილით უკლო. ბოროტ-მომქმედი შეიპყრეს. მისი ვინაობა ირკვევა.

ვარშავა. 1-ლს სექტემბერს რონტალერი ხსნის სამ-კლასიანს საკომერციო სასწავლებელს მოსამზადებელის კლასითურთ სახელმწიფო სასწავლებელთა უფლებით.

ვარშავის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში შესასვლელად შეიტანეს 623 თხოვნა, და ვაკანსია-კი სულ არის 229.

სტამბოლი. რუსის ჯავშნიან კოშკიანი გემი „როსტისლავი“ დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის უფროსობით უკვე რამდენიმე დღეა ნახულობს ოსმალეთის შავის ზღვის ნავთ-საყუდლებს. ვიცე-ადმირალის გილდებრანდის ესკადრა, რომელიც შესდგება ორის ჯავშნიან-კოშკიან გემისაგან და ოთხის ხომალდისაგან, იმავე განზრახვით, მოვიდა გუშინ ირაკლიას და დღეს ორდუსა სდგას.

გაშტეინი. დიდი მთავრინა ელისაბედ მავრიკის ასული გუშინ შუადღისას წაბრძანდა ჰულემელს-ჰელმს. სადგურიდგან გააცილეს რუმინიის მეფემ და საქსენ-ალტენბურგის პრინც მორიცმა.

პეტერბურგი. „კანონდებულებათა კრებულში“ დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული წესდება შესახებ იმისა, რომ მიეცეს შეღავათი არაყის მხდელს მექარხნეებს სპირტის დაწმენდისათვის საბურახო მანქანით; ფინანსთა მინისტრის განკარგულება შესახებ საბაჟოების დადგენისა ქალაქს აქშას, ზაბაიკალის მხარეს, და ზაბაიკალის რკინის გზის სადგურს ბორზიას, და წესი შესახებ რკინის გზით გადაზიდვისა შინაურ ცოცხალ წვრილფეხობისა, წვრილ საქონლისა ყუთებით, ოჩხებით, კალათებით და აგრეთვე ფუტკრიანი სკებისა.

31 ივლისი

ბეთლინი. „Reichsanzeiger“-ი იუწყება რომ პეტერბურგის გაზეთის „Край“-ს გავრცელება ,რუსიაში აღკრძალულ იქმნა ორის წლითაო.

ლამდერნო. დეპარტამენტის პრეფექტი დაჰპირდა, გარდაეცემ მთავრობას ადმირალ კიუვერვილის სურვილს, რომ სასულიერო სკოლების გაუქმების დეკრეტი გარდაეცეს სახელმწიფო საბჭოს განსახილველადაო. ეს გარემოება გამოიწვევს ყოველ-გვარ დევნის გადადებას. მონაზონმა ქალებმა აღსთქვეს, რომ დაემორჩილებით საბჭოს გარდაწყვეტილებასაო

სოფია. მაკედონიის კონგრესზედ, რომელიც შემოკრბა სოფიაში, დაესწრო 58 დელეგატი, 30 ტონჩევის დასისა და 28 სარაფოვის დასისა. ხვალ გადაწყდება, ნება მისცენ თუ არა კონგრესზედ დასწრებისა დანარჩენ 36 დელეგატს, რომელნიც სარაფოვის მომხრენი არიან. თუ ნება არ მისცეს, სარაფოვის დასს გადაწყვეტილი აქვს საკუთარი კონგრესი გამართოს.

ლონდონი. ახალშენთა წარმომადგენლების კონფერენციის შედეგი საკეთილო აღმოჩნდა. კონფერენციამ გადასწყვიტა, მეტის ძალ-ღონით დაეხმარნენ ახალშენნი საიმპერიო ფლოტის შენახვის საქმეს. შემდეგ გადაწყვეტილ იქმნა, რომ ახალშენებმა დაუკლონ ტარიფი იმ საქონელზედ, რომელიც ინგლისიდან მისდით. ამის მაგალითი კანადამ უკვე გვიჩვენაო. ესეც-კი სათქმელია, რომ კონფერენციის გადაწყვეტილებანი სავალდებულონი არ არიან და უნდა წარდგენილ იქმნან საკანონმდებლო დაწესებულებათა განსახილველად თითოეულ ახალშენში ცალკე.

პეტერბურგი. სენატს წარუდგინეს გამოსაცხადებლად ახალი გამოცემა კანონთა კრებულის მე-IX ტომის დამატებისა; ამ დამატებას ეწოდება: „დებულება გლეხთა წოდების შესახებ, 1902 წლის გამოცემა“.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	46,07½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,65
ბირჟის დისკონტი	4½—6%
4% სახელმწიფო რენტა	96⅞ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავდ. მამულთა ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ.	463 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ.	351½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მოგ. ფურც. სახელმ. სათავდ.-მამ. ბანკისა.	286½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. სათავდ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. სათავდ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9675 წვ. გაყ.
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	369 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	183 წვ. გაყ.

ყოველ-დღური საჭირო ცნობანი

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა გამოაცხადებს, რომ

კავკავის სკოლაში ორი თავისუფალი ადგილია მასწავლებლისა.

გალობა-სიმღერის ცოდნა სავალდებულოა. ვისაც სურს ხსენებულის ადგილების დაჭერა, მან უნდა წარმოუდგინოს საჭირო დოკუმენტები თხოვნასთან ერთად ან საზოგადოების გამგეობას, ან თვითონ კავკავის სკოლის გამგეს ბ. პართენ ალექსანდრეს ძე გოთუას.

გმოსიან ტანსა
ოქრო ნემსულნი,
 გვირგვინ სკიპტრანი,
ბისონ მიტრანი
ძოწეულითა
თანა-შექსულნი,
 გაქვს-და პორფირი,
შთაცმა პოდირთა;
სამარაგდონი (ზურმუხტნი)
ერთგან ექსულნი (ასხმულნი)
 დიადი მითა
დიადიმითა,
ზეგარდმო გაქვს
წმინდად ექ სულნი (აქ სულნი).

უწინ სპარსთა ხელმწიფემ ხვასრომ იერუსალიმიდგან წაიღო ცხოველ მყოფელი ჯვარი მეუფისა. თამარმა-კი თვით ეს ჯვრის მტერნი აოტა, და რადგან იგი ამ სიმაღლემდის აიწია (ამა თხემისთვის), მისს თხემს[21]) (თავს) ვსძლნობთ ნელსაცხებელს წინასწარმეტყველ ნათანთან ერთად.

სრა—სასახლე, მტილ-სამოთხე, ტახტ-საჯდომელნი, ყველა და ყოველივე მდიდრად შემკული და მორთული აქვს, არე-მარე ბრწყინავს სიმდიდრით, სიუხვით, ყველგან ისმის ხმა მგოსანთა, ვით საფირონთა, ხმანი ებნისა და წინწილისა. გუნდ მწყობრი დასი მას ჰყავს ბევრ ათასი დიდ გვარ თავადთა, ამათი ნაქმარი „იოსებს თვალად, სამფსონს ძალად, სჯობს ნებროთს გულად“.

 მამის ძედ არი
სამგზის ნეტარი,
მეტრფე საქმეთა
სახელისათა,
 თვით ბჭეთა ბჭედი,
მტკიცე ბჭედი,
მეწდე სიტყვათა
სიმართლისათა,
ერთა შემცველი,
მტერთა შემწველი
თანად შიშითა
სასჯელისათა.

მისის სახედველის სახედველისა[22]) მჭვრეტთ ვერ უძლეს სხივის განცდა, კალმით ვერ გამოხატეს მისი სახე, ამისთვის წამალი წამალებით (მსწრაფლ, ერთს წამეულს) უნდა ეხმარათ. მან „იოსებს“,რომ არი ოსებს,სიტურფე შემატა (ართო), მას დასწვავს სრულებით, რადგან ეშყის ცეცხლს უგზებს, გარნა ფიცს არ გაუტეხავს, მარჯვენით მოიმარჯვებს ჭურად და ფარად, მტრების ურიცხვ რაზმებისათვის თვალთა წუხილად, გრიგალ-ქუხილად, ხოლო რჩეულ ერის, ნიჭთა ჩვეულის, მისგანვე კეთილ სახმარად.

არა, არ ვეთავსდებით „სიბრძნისა ზღვასა, თამარ[23]) პირმშოსა“. შენ, ნეტარო, ხარ
 სწავლის მოძღვარი,
 საშველის ღვარი,
 სიწმიდისაა
 ცხოვრების თვალი.

მ. ჯ.

(დასასრული იქნება)

---

[21]) სვან. თხვიმ—თავი.

[22]) ავქსონს უყვარს აზრის ამგვარი გამოხატულობა: ფაქიზად. მიუკარებლად დასაცავ-შესანახია-ს მაგიერ ამბობს: იგია „ასაფიცარი ასაფიცარი“. ასრეც აქ: „სახედველისა სახედველისა“ მჭვრეტთა ვერ უძლეს განცდა სხივისა: მის სახედველის (თვალთა) სახედველის (ხედვის) სხივი ვერვინ განიცადაო (никто не могъ уловить)

[23]) მარრს დავითად შეუცვლია.

GRAND PRIX
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К-о
„Порфюмерія
Золотая Нива“

Открыта подписка на ежедневную (не исключая понедѣльниковъ) газету политической и общественной жизни и литературы

„Бакинскія Извѣстія“

Программа газеты: Дѣйствія и распоряженія Правительства; Телеграммы; Общія статьи по разнымъ вопросамъ; Хроника мѣстная; общая и иностранная; Корреспонденціи; Обзоръ печати; Фельетоны; Судебный отдѣлъ; Нефтяное и горное дѣло; Смѣсь; Справочный указатель.

Подписная цѣна: по 1-ое Января 1903 г. съ доставкою въ Баку и пересылкою въ другіе города—3 р., на 3 мѣсяца 2 р. и на одинъ мѣсяцъ 1 руб.

Такса за объявленія: За строку петита или мѣсто занимаемое ею впереди текста—10 к., а позади текста—7 к. Многократныхъ объявленій по соглашенію.

Редакція и контора изданія: пассажъ Шагиданова. Первый номеръ выйдетъ въ свѣтъ четвертаго августа.

Редакторъ-издатель
Н. А. Гриневъ.

(3—უ—2)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა
ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хахановъ в. III.	3	»
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгіи XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	»
მეცნიერებისათვის წამებულნი სურათებით, თარგმანი ა. ნიკოლაძისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა ანა ტფილელი	„	30
დაზარილით ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ზ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, შ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, ჩოქე ს. გუგუნავასი	„	50
ნაშენი ვაზით ვენახის მოშენება ს. ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
ჰაწია და ბუნკლია სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი“ შ. ჯანაშვილისა	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50

სოლოლაკში, სერგიევის ქუჩაზე, მირზოევის სახლებში № 1, გაიხსნა

ახალი სტამბა

ძმათა თავართქილაძეებისა,

რომელიც დაიწყებს მოქმედებას აგვისტოს პირველიდგან.
მიიღება საბეჭდავი საქმეები ყველა ენებზედ. სტამბა შემოკვეთილ საქმეებს ასრულებს

სწრაფად და თავის დროზედ.

ამ სტამბასთან იქმნება უმთავრესი საწყობი საკუთარ გამოცემათა.

ვისაც ჩვენ ფირმასთან საქმე აქვს, ან ექმნება, ვთხოვთ დღეიდგან მოგვმართონ ტფილისის ადრესით: Тифлисъ, бр. Таварткиладзе.

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუხგალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბუღდავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

სწავლების საგნები:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხგალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთმრეწველობის დარგის გამოუკლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა** (**კორესპონდენცია**). 4) **სავექსილო და სავაჭრო მართლიერება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება სულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველ-დღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ. (25—379—11)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства.

რედაქტორ-გამომცემელი **ა. ი. სარაჯიშვილი.**